№ 254
პარასკევი, 24 ნოემბერი 1895

1877—1895

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

№ 254
პარასკევი, 24 ნოემბერი 1895

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვი
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ტფილისის საკრებულო დარბაზში
ორშაბათს, 27 ნოემბერს,
მომავალ ქართულ საქალებო სკოლის
სასარგებლოდ გამართულ იქნება

**კონცერტი,**

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: გამოჩენილი ვიოლონჩელისტი **პორტენი**, ქბ-ბ. სოკოლოვსკისა, უნთილოვისა, კ. მესხი და სხვანი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
ბილეთების ყიდვა შეიძლება „ნოვ. ობოზრ.“-ს კონტორაში და „ტფილისის საკრებულოს“ შვეიცართან.
(3—6—1).

ქართული თეატრი.
პირველი გასტროლი
**ეფ. მესხიშვილისა.**
კვირას, 26 ნოემბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ ე. მესხისა, მ. საფაროვისა; ბბ. კ. ყიფიანისა და კ. მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა

I

**კომლი უძღებლიდ**

თხზ.
დრამატიული სურათი 1 მოქმედ. თხზ. უგანათლ. თავ. გ. შარვაშიძისა.

II

**ამღუმი**

კომედია 4 მოქმ. გადმოკ. ვ. გუნიას-მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ეფ. მესხისა, საფაროვისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, გურგენიძისა და სხვა. ბ-ნნი ყიფიანი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, მჭედლიშვილი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.
ახლო მომავალში იქნება ბენეფისი
**კ. მესხისა.**
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჟიჟინაძისა** და **ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—საღამოს 4—7 საათამდე.

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოჰკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 24 ნოემბერი.

—

დიდი ხანია ევროპიის მეცნიერნი და სახელმწიფოში მომქმედნი კაცნი ცდილობენ გამოარკვიონ, ციხეში ჩასმით შესაძლოა თუ არა დანაშაულის ჩამდენი ადამიანი გამოსწორდეს, გამოკეთდეს. ამაზე ბევრი ჰო და არა თქმულა, ზოგსა სწამს ამ მხრით ციხის მადლი და ზოგს არა და ამის გამო ზოგი ისევ მაგრად ებღაუჭება ამგვარს სასჯელს, ვითარცა სახსარს ადამიანის კარგ ზნეობის გამოფხიზლებისას და ზოგი-კი შორს იჭერს, რომ ციხე მაგის შემძლებელი იყოს და ამტკიცებენ, რომ ციხე უფრო ჰრყვნის და აფუჭებს ადამიანსაო. ზოგიერთი ნიშნებია, რომ ეს უკანასკნელი აზრი თან-და-თან გულშემატკივარს და თანა-მგრძნობს ჰპოულობს. დღეს ძნელად სადმე შეხვდებით იმისთანა გამოჩენილს მეცნიერს, ანუ სახელმწიფო კაცს, რომ სწამდეს ციხეში ჩასმით ადამიანის გამოკეთება. პირიქით, დღეს ბევრნი ამტკიცებენ, რომ ციხეში ჯდომა უფრო ახშობს ზნეობას, ვიდრე აფხიზლებს და აღვიძებს და ასე მოქმედობს ნამეტნავად არა-სრულს წლოვანს დამნაშავეზე და იმისთანა კაცზე, რომელსაც დანაშაულობა შეემთხვევა არა გულის სიბოროტითა და არა იმით, რომ იგი ხელობით ავაზაკი იყოს, ან ავ-საქმის მოურიდებელი. ხშირად გულით ჯერ არ წამხდარი და კიდევ საკეთილოდ საიმედო კაცი ციხიდამ გამოდის ზნე-დახშული და მთლად და სამუდამოდ ხელიდამ წასული.

ბელგია, ეს პატარა, მაგრამ კარგად განათლებული ქვეყანა, პირველი დადგა იმ აზრზე, რომ ციხე ვერაფერი ადგილია ადამიანის გამოსაკეთებლად. ამიტომაც პირველმავე შეიტანა კანონებში ეგრედ წოდებული „პირობითი სასჯელი“ წვრილმან დანაშაულობისათვის, რომელსაც მოკლე ხნით ციხეში ჯდომა მოსდევს. ეს პირობითი სასჯელი იმაში მდგომარეობს, რომ იმ დამნაშავეს, რომელსაც მცირე დანაშაულობისათვის ციხეში ჯდომა განუჩინა სამართალმა, ჯერ დრომდე ხელს ნუ ახლებენ, აცალონ დამნაშავეს თავისუფლად იყოს, თვალი ადევნონ და თუ დანიშნულ ვადამდე ჰნახეს, რომ მისი ყოფა-ქცევა რიგიანია და შეუმწიკვლელი, სრულიაც აპატიონ და თუ არა, მხოლოდ მაშინ სასჯელი აღსრულებაში მოიყვანონ.

გაზეთები იუწყებიან, რომ გერმანიის იმპერატორმაც ბრძანება გამოაცხადა იუსტიციის მინისტრის მიმართ იმის შესახებ, რომ იმ დანაშაულთათვის, რომელთა გამოც სამართალმა დაადგინა ციხეში ჯდომა არა ექვს თთვეზე მეტი, სასჯელის აღსრულება დააყოვნოს. ამისთანა შემთხვევაში და ნამეტნავად თუ დასასჯელი არა სრული წლოვანია, (18 წლისაზე ნაკლები) მინისტრს ნება ეძლევა განაჩენი სამართლისა არ მოიყვანოს აღსრულებაში; დამნაშავე თავისუფლად დასტოვოს რამდენისამე ხნით და არა უმეტეს ერთის წლით თითქო გამოსაცდელად. თუ მისი ყოფა-ქცევა ამ ვადის განმავლობაში ყოვლად მართებული და მოსაწონი იქნება, მაშინ სრულადაც შენდობილ იქმნას, თუ არა და განაჩენი აღსრულებაში მოვიდეს.

თუმცა ეს ბძანება ჯერ კანონად არ ჩაითვლება, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭიროა პარლამენტის თანხმობა, მაგრამ ესეთი ბძანება პრუსიაში, თუ არ მთელ გერმანიაში, მაინც სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონდეს იუსტიციის მინისტრს, რადგანაც აქ იმპერატორი მოქმედობს, ვითარცა ხელმწიფე, რომელსაც უფლება შენდობისა მინიჭებული აქვს კანონითა. აქ საქმე იმაშია, რომ იმპერატორმა ვილჰელმმა იგი ჰქმნა, რის უფლებაც კანონით ეკუთვნის და [illegible] ამ მხრით იმპერატორის აზრი გამოქვეყნდა, უეჭველია, როგორც პრუსიის პარლამენტი, ისეც გერმანიისა ბეჯითს ყურადღებას მიაქცევს სასჯელთა კანონ-მდებლობას იმისათვის, რომ ამ აზრის მიხედვით სასჯელთა აღსრულების წესი შესცვალოს და კანონებში შეიტანოს.

ვინც იცის, რა მდგურები ჰყავს ციხესა და მათ შორის ჩავარდნილი მცირე დანაშაულისათვის ადამიანი რა გარყვნილობის და ავ-ზნეობის საფრთხეშია ხოლმე, ნამეტნავად არა-სრულწლოვანი, ან ჯერ გულით და გონებით არ დამჯდარი, უვიცი ვინმე და ამიტომაც მზად-მყოფი სხვის დარიგებას, რჩევას, ადვილად აჰყვეს და ბოროტის მაცდურებას ვერ გაუმაგრდეს,—ვინც ყოველივე ეს იცის, იმისათვის მეტად სანუგეშო უნდა იყოს და თანასაგრძნობი იგი ნიშნები, რომელიც მოასწავებს, რომ ადამიანს მადლი ციხისა დამნაშავის გამოსაკეთებლად აღარა სწამს და პირიქით, იმის ცდაშია, რომ ამ ავ-ზნეობის საფრთხესაგან დაიხსნას დასასჯელად დანიშნული რაოდენადაც შესაძლებელია. ამ გზაზე კაცობრიობა რაც მეტს მანძილს გაივლის, მით უფრო სანატრელია, რადგანაც ბევრს სულს, ჯერ კიდევ გამოსაკეთებლად საიმედოს, დაიხსნის სამუდამოდ წახდენისაგან. ან აქამდე რა საფიქრებელი იყო, რომ ჯერ მთლად არ დაცემული კაცი, ჩავარდნილი სხვა ავ-კაცთა შორის, მათთან ერთად დამწყვდეული, თუნდ ორის სამის თთვით, გამოკეთდება. ან მითამ რა მაღალ-ზნეობის მაგალითები ასწავლიდა ჰკუას ციხეში, სადაც მასთან ერთად ქურდ-ბაცაცანი და ბევრი სხვა ადამიანობაზე უსირცხვილოდ ხელაღებული კაცნი არიან ხოლმე დამწყვდეულნი.

## ახალი ამბავი

—

*** 21 ნოემბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სხდომაზე თ. ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა მოხსენება იმის შესახებ, რომ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნას სამეურნეო ბიურო. ბიუროს დანიშნულება იქნება—მიაწოდოს მეურნეთ სხვა-და-სხვა საჭირო სამეურნეო ცნობა, დაეხმაროს მწარმოებელთ ნაწარმოების გასყიდვაში და სხ. სხდომამ მოიწონა თავ. ანდრონიკაშვილის წინადადება, დაადგინა დაარსოს ბიურო და მიანდო ეს საქმე თავ. ივ. ანდრონიკაშვილს და ევნ. იოსელიანს.

იმავე სხდომაზე არჩეულ იქმნენ საბჭოს წევრებად თავ. ვახვახიშვილისა და ბ. ტარატინოვის მაგიერ, თავ. ალ. ორლუთინსკი და ბ. ტიმოფეევი.

*** გუშინ, 23 ნოემბერს, ავლაბარში, ზემოთა ხიდის ყურში, მარცხნივ, სადაც ხეჩატუროვის მაღაზიაა, დილის 10 საათზე ჩამოინგრა ერთი კედელი, ასე 4 ოთხ-კუთხი საჟენი, მაგრამ უბედურება არა მომხდარა. შენობა თვითონ მეტად ძველია, ამიტომ საჭიროა პოლიცია არ დაკმაყოფილდეს გუშინდელი ხელდახელი გასინჯვით და მცოდნე პირებმა ნახონ. ერთი კუთხე შენობისა, რომელიც პირ-და-პირ მტკვარს გადასცქერის და რომლის ნახევარიც უკვე ჩამონგრეულია, ისეთ ნაირად არის დაფხვიერებული, გარდა აქა-იქ ორიოდ მთელი აგურისა, რომ ძალიან ადვილი მოსალოდნელია ჩამოინგრეს; და მაშინ-კი მთელი შენობა მტკვარში გადაეშვება, რასაც, რასაკვირველია, მოჰყვება ადამიანის მსხვერპლიც და დიდი ზარალიც მაღაზიის პატრონისათვის.

*** დღეს, 8 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების დარბაზში რ. ი. დანილოვიჩი განაგრძობს კითხვას თავისს მოხსენებისას „ერევნის გუბერნიის ეკონომიური გამოკვლევა“.

*** მომავალ ქართულ საქალებო სკოლის სასარგებლოდ კონცერტი, რომელიც დანიშნული იყო კვირისათვის, გარდიდვა ორშაბათ, 27 ნოემბრისათვის.

*** ჩვენ გვქონდა მოხსენებული ზოგიერთი ამბავი შესახებ წყალდიდობისა; მოგვყავს კიდევ რამდენიმე ამოკრებილი ამბავი გაზ. „ტფ. ლ.“-დამ. გზა ზოგან შუა-შუაა დაწყვეტილი, ზოგან გზის მაგიერ ხრამებია, და თუ არ უფსკრულზედ გადადებული რელსები, მნახველი ვერც-კი მიჰხვდება, თუ აქ ოდესმაც მატარებელი დადიოდა. მგზავრმა დიდის სიფრთხილით უნდა იაროს. ხან უფსკრულის თავზე ვიწრო ბილიკზე უნდა გაცოცდეს, ხან აღმართ-აღმართ ჯირკვებს უნდა მოეჭიდოს, ხან უნდა გაიაროს ხიდზე, რომელსაც საძირკველი ნახევრად გამოსცლია, და გულის ფანცქალით უნდა ელოდეს ან ეხლა გავექანები ქვევით უფსკრულისაკენ ხიდთან ერთად, ან ეხლაო. ძირულის ახლოს ვეზერთელა მთისთვის წყალს საძირკველი გამოუქამნია და იგი ძირს დედამიწაზე დაფოფხვილა. აქავე ახლოს ძირულის თვისი წინანდელი კალაპოტი დაუგდია, მხარი უქცევნია და მიექანება იმ ადგილზე, სადაც რამდენიმე დღის წინად რკინის გზის რელსები იყო გაწყობილი. აქავე გდია გზიდამ გადავარდნილი მატარებელიც, სადაც დღემდის მოსჩანს ნაბადი საცოდავი კონდუქტორისა, რომელიც ამ უბედურების მსხვერპლი გახდა. თვით მარელისის სადგური დაზიანებულია. მინდვრები? სადღაა მინდვრები! მინდვრების მაგიერ ჭაობებია. წავიდა, დაიღუპა ამოტელა ოფლი მაშვრალთა, დარჩნენ მშიერნი, ღვთის ამარად. ვინ მოსთვლის ნივთიერს მსხვერპლს! ერთგან ძაღლებმა ქვიშიდამ ვაჰრის გვამი ამოიღეს, მეორეგან წისქვილს ახლოს საწყალი ბერიკაცი მეწისქვილე ასევე ემსხვერპლა სტიქიონს და ვინ იცის, კიდევ რამდენია ქვიშა ყორეში ჩაფლული.

—◆◆—

## დაზარალებულთა დახმარება.

საქართველოს სხვა დაბა-ქალაქთა შორის ძალიან დააზარალა წყალდიდობამ ფოთი. გაზეთები და კერძო ცნობები საზარელ სურათს გვიხატავენ. როგორც ნამდვილად გავიგეთ, ფოთი უკვე შესდგომია დახმარების საქმის მოწყობას. ყოვლადსამღვდელოეს გრიგოლის თავმჯდომარეობით უკვე შემდგარა დაზარალებულთა დამხმარებელი კომიტეტი. შემდგარა აგრეთვე ქალაქის გამგეობის წევრთაგან კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ცნობაში მოიყვანოს ყოველი ზარალი, რომელიც ფოთს მისცა წყალდიდობამ. ამ რიგად, როგორც ვხედავთ, ფოთი თვითონ შეუდგა საქმის გამოკეთებას, რადგანაც მას მზრუნველიც მოეპოვება შეგნებული და საშუალებაც აქვს. ამნაირათვეა საქმე ბათუმში: იქ სხვა-და-სხვა გზით კარგა ძალი თანხაც შეგროვდა უკვე დაზარალებულთა დახმარებისათვის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სხვა ქალაქებიც და უმთავრესი დაბებიც დაუყოვნებლივ შეუდგებიან თავის შველის საქმეს. მაგრამ სავალალო ჩვენი სოფლის საქმეა. სოფლის მცხოვრებნი სხვის დაუხმარებლივ ვერაფერს მოაწყობენ, ვერაფერს მოახერხებენ! ასე რომ ისინი, ვინც უფრო დაზარალდა, ვინც უფრო გრძნობს დღევანდელ დღის უბედურებას, ის უპატრონ-უმზრუნველო რჩება. ქალაქებს თვით-მმართველობა აქვთ და ეს დაწესებულებანი უთუოდ აღას-

რულებენ მოვალეობას მცხოვრებთა წინაშე. მაგრამ საუბედურო ის არის, რომ სოფელი მოკლებულია ამგვარს დაწესებულებას და პატრონობას! როგორც წინადაც ვამბობდით, ქართველი განათლებული და დაწინაურებული საზოგადოება უნდა დაუფიქრდეს ამ საკითხს და გამოსძებნოს საშუალებანი. საერთო კომიტეტის დაარსების საქმე ამ ჟამად, როგორც გავიგეთ, ამ მდგომარეობაშია: კომიტეტის დაარსება დამოკიდებულია ცენტრალურ მთავრობისაგან და არა კავკასიის მმართველობისაგან. ამიტომ საჭიროა შუამდგომლობა პეტერბურგში წავიდეს. რადგანაც უფრო დაზარალებული დასავლეთი საქართველოა, კარგი იქნებაო, ამბობს ყველა, დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობა წინამძღოლი დაიწყებდეს საქმეს. დაგვიანება ამგვარს საქმეში არ ვარგა, საჭიროა ახლავ გარდაწყდეს საქმე. დარწმუნებულნი ვართ მომავალი კომიტეტი თანაგრძნობას გამოიწვევს მთელს ჩვენს ქვეყანაში და დახმარებას რუსეთიდამაც უნდა ველოდეთ. იქაურმა გაზეთებმა კიდევაც მიჰმართეს რუსის საზოგადოებას წერილებით—დაეხმაროთ უბედურებაში ჩავარდნილ ერთმორწმუნე ქართველ ერსაო.

გუშინ-წინდელ წარმოდგენას, ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ ეს ხმა-მაღლა, საზოგადოება ნაკლებად დაესწრო. ჩვენ გვგონია—ეს გარემოება შემთხვევით უნდა აიხსნას და შემდეგ საზოგადოება გამოიჩენს ნამდვილს თანაგრძნობას. მალე გაიმართება დაზარალებულთა სასარგებლოთ ბალი, შემდეგ კონცერტი და სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენაც და უთუოდ ტფილისელი საზოგადოება მაშინ დაგვანახვებს, რომ მას ხალხის უბედურება საკუთარ უბედურებათ მიაჩნია, რომ მას შეუძლიან გულშემატკივარ მოძმედ გაუხდეს დაზარალებულ მოძმეს!

## კორესპონდენცია.

გორი. წარსულმა აჟინებულმა წვიმა-ნიაღვრებმა ბევრი საცოდაობა დაატრიალეს, ბევრი ზარალი მისცეს, სხვათა შორის, ჩვენს, ერთ დროს ქებულ-დიდებულ და ამ ჟამად-კი ყველასაგან ყბად აღებულს გორსაც! თვით გორში კი ისეთი საგრძნობელი უბედურება არავის არ მოსვლია, როგორიც აქაურ საქალო სასწავლებელს, პროგიმნაზიას. მთლად გორის მაზრაში ეს ერთად-ერთი სასწავლებელია, სადაც ცოტა რამ განათლებას იღებენ ჩვენი მოზარდი ქალიშვილები. გაიხსნა თუ არა ეს სასწავლებელი, იმავე დროდგანვე ქართველი ბავშვებით აივსო და მას აქეთ მის მოსწავლეთა დიდს უმრავლესობას შეადგენდა ქართველი ყმაწვილ ქალობა. ამ ჟამად აქა სწავლობს სულ 154 ქალი და ამათში მხოლოდ 42 მოსწავლეა არა ქართველის ტომისა. ამიტომაც ჩვენი საზოგადოება მუდამ თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ სასწავლებელს: მისთვის არ იშურებდნენ არც გარჯა-შრომასა და არც საკუთარ ჯიბეს, როგორათაც წარმომადგენელნი თავად-აზნაურობისა, აგრეთვე სხვა-და-სხვა წოდებათა. თუ ოდესმე დაიწერა ამ სასწავლებლის ისტორია, რასაკვირველია, მისი პირველი ფურცლები დამშვენებული იქნებიან პატივცემულ კნ. ანნა ალექსანდრეს ასულის ამილახვრის, თ. რევაზ შალვას ძე ერისთავის და მრავალ სხვათა სახელებით. პროგიმნაზიის დაარსებიდამ მოკიდებული არ გასულა ისეთი წელიწადი, როდესაც-კი ამ მოხსენებულ პირთა და მათთან მრავალ სხვათაც არ აღმოეჩინოთ რაიმე საგრძნობელი შემწეობა მისთვის. ესეთი საერთო თანაგრძნობა ამ სასწავლებლისადმი ბოლოს დააგვირგვინეს განსვენებულმა თ. ივანე კ—ძე მუხრან-ბატონმა, რომელმაც სკოლას აჩუქა თხუთმეტ ოთახიანი ორ-სართულიანი სასახლე თავის სამის დუქნით და კარგა მოზრდილის ეზოთი და ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკმა, სადაც იყო და არის დაგირავებული ეს სახლი: ყოველ წლიური შესატანი ფული ოც-და-თხუთმეტ თუმანზე მეტი მოდის და ეს ფული ბანკის საზოგადოებისაგან ყოველ წელიწადს ეპატიება ხოლმე სასწავლებელსა. ამავე სასწავლებელს ეძლევა ქ. გორისაგან ყოველ წლივ ას-ორმოც თუმნამდე, ხოლო მთავრობისაგან—ასი თუმანი. პროგიმნაზიას ჰყავს თავის საპატიო მფარველად მათი უდიდებულესობა ანასტასია მიხეილის ასული, რომელიც უგზავნის ხოლმე სასწავლებელს წელიწადში ათ თუმანსა. ყველა ამ შემოსავალთ რომ მივუმატოთ მოწაფეთა სასწავლო ფულიცა, შესდგება არა უმეტეს ექვსასი თუმნისა; პროგიმნაზიის ყოველ წლიური აუცილებელი ხარჯი-კი ადის შვიდას თუმნამდე. ამნაირად სასწავლებელს, თითქმის მუდამ წელიწადს, აკლდება ას თუმნამდე ფული, რომელიც გროვდება ჩვენს საზოგადოებაში სხვა-და-სხვა პირთა თაოსნობითა.

აი ამისთანა ღარიბ სასწავლებელს სწორედ თავს მეხი დასცა წარსულმა წვიმა-ნიაღვრებმა, რომელთა მეოხებით ისე დაზიანდნენ კედლები სასწავლებლის სახლისა, ისე გაიჟღინთა მთელი ქვემო სართული წყლითა, რომ მასში სწავლის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა, მერმის ენკენისთვემდე მაინცა. ამის გამო აგერ მესამე კვირა მიდის, რაც სასწავლებელი დაიკეტა და მისი საბრალო მოსწავლენი ნაავდრი ჩიორაებივით აბუზულნი დაიარებიან გორის ქუჩებში. აი ამ დამაფიქრებელმა სამწუხარო გარემოებამ შეჰკრიბა ამ თვის 14-ს მშობელნი, ნათესავნი და თანამგრძნობნი მოსწავლე ქალებისა საოსტატო სემინარიის დარბაზში, სადაც პატივცემულ რევაზ შალვას ძე ერისთავის თავმჯდომარეობით იწყეს სჯა მასზედ, თუ როგორ მოაწყონ ასე მოულოდნელად არევ-დარეული საქმე ჩვენის ბავშვების სწავლა-განათლებისა. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ საზოგადოებამ გადასწყვიტა შემდეგი: 1. შვიდის თვის ვადით დაქირავებულ იქმნას პროგიმნაზიისთვის შესაფერი სახლი (დიდ ქუჩაზე მდებარე სახლი თ. გ. დ—ძის ერისთავისა) და რაც შეიძლება მალე გაგრძელდეს მასში სწავლა; 2. რადგან პროგიმნაზიის მმართველობას არა აქვს არავითარი შეძლება, ამიტომ სახლის დასაქირავებლად საჭირო ფული შეგროვილ იქმნას ხელის მოწერით; 3. მოხსენდეს სასწავლებლის გაჭირვებული მდგომარეობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მმართველობას და ეთხოვოს აღმოჩენა შემწეობისა; 4. ეთხოვოს მთავრობას, რათა ამან უფასოდ დაუთმოს მტკვრის ხიდის ყურთან მდებარე მოედანზე იმოდენი ადგილი, რომელზედაც შეიძლებოდეს აშენება პროგიმნაზიისათვის შესაფერის სახლისა.

საჭიროდ ვრაცხ აქვე დავძინო შემდეგი: აწინდელი სახლი აქაური პროგიმნაზიისა განსვენებულ მუხრან-ბატონის განკარგულების ძალით იმ დრომდე იქნება პროგიმნაზიისა, ვიდრე იგი მასშია მოთავსებული. უკეთუ სასწავლებელი გადვიდა სადმე, მაშინ ეს სახლი უნდა გადაეცეს თავად-აზნაურობას. ამიტომ ნამდვილი ქართველური დაუდევრობა მოგვივა, თუ ეს სახლი აწინდელ მდგომარეობაში იქმნება დატოვებული. ორმოციოდე თუმნით მისი განახლებ-გამაგრება ადვილად მოხერხდება ამ ჟამად, რაც არა მცირედს სარგებლობას შესძენს საბოლოოდ თავად-აზნაურობას.

არბოელი.

## წერილი ფოთიდამ.

(წყალდიდობის შესახებ).

დასავლეთ საქართველოს მდინარეები ერთვიან რიონს, რომელიც ქუთაისის ქვემოდამ, რიონის სადგურთან იშლება, ფართოვდება და მისის წყლისაგან ავსებულია ხოლმე წყალდიდობას მთელი ფოთის მხარე. ხშირად ჰგლეჯს რიონი დამბებს, ახდენს რკინის გზის ლიანდაგს და წალეკავს ხოლმე ლანჩხუთის მიდამოებს. ბევრჯელ მომხდარა ეს, მაგრამ ის, რაც 30—31 ოქტომბერს მოხდა, არავის ახსოვს. როგორც ვიცით, გამუდმებულმა შხაპუნა წვიმებმა და მომსკდარმა ნიაღვრებმა აავსო მდინარეები და მოედო რიონის ველს; აარხია ნიგოითის, ლანჩხუთის, ჯურუყვეთის მამულები, მდებარე ესრედ წოდებულს „ნარიონალის“ მხარეს და მთელი ეს ზღვა წყალი ეცა პალიასტომის ტბას, აქედამ გამოვიდა მდინარე კაპარჭაში, რომელმაც გაგლიჯა დამბები და თვისის ძალით მოეცა ფოთს.

31-ს ოქტომბერს, დილის ექვს საათზე, გაისმა ჟრიამული ხალხისა, როცა დაინახა კაპარჭის გარშემო მდებარე ქუჩებში წყალი. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ჰხტოდნენ, ჰკიოდნენ, წყლისაგან წამოღებულს შეშებს და ფიცრებს იჭერდნენ და დაცურავდნენ მუხლზე შემომდგარს წყალში. წყალმა თან-და-თან იმატა და ორ საათზე ნაშუადღევისას მთელი ქალაქი დაჰფარა. ყველა ნუგეშობდა, რომ სადამომდის ჩამოწყდება, ჩამოიწურება წყალიო, მაგრამ ვაი, რომ უფრო იმატა და მოაჯირებს მოადგა. მაშინ-კი გაისმა თავგანწირული ძახილი: „ნავი, ნავი! ვინ ხართ ქრისტიანი!“ მაგრამ ზღვა წყალი სცემს, ნავები ვერ შემოაქვთ, არც იმდენია ჯერ ნავი; არავინ მოელოდა ამ განსაცდელს, რომ თავდარიგი დაეჭირა. საღამოზე ჯოჯოხეთად გადაიქცა მთელი ფოთი, ბაბილონის ენათა შერევნას წარმოადგენდა: ხალხის სასოწარკვეთილი წივილ-კივილი, პირუტყვთა ბღავილი, ცხენთა ჭიხვინი, ფრინველთა ჟრიამული ერთმანეთში აირია; ჯოჯოხეთური კბილთა ღრჭენა იყო.

31 ოქტომბერს ღამით წყალმა უფრო იმატა და 1 ნოემბერს დიდ-დიდი მდინარეები მიდიოდა ქუჩებში ბულვარისაკენ, მიჰქონდა კაპარჭის მხრიდამ შეშა, ფიცარი, ტივები, დიდ-დიდი ხეები. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ კაპარჭის პირად არის რამდენიმე სამხერხავო, რომლებშიაც ამზადებენ ყველა ნაირს ფიცრის მასალას და გზავნიან სხვა-და-სხვა ადგილებში. ყველა ამ სამხერხავოების პატრონებს ხელი დააბანინა და მათი სარჩო საბადებელი წყალმა წაიღო. რომ დაატყეს, წყალი არა თუ კლებაში, მატებაში მიდის, მაშინ ქალაქის მოურავმა ბ-ნ ნიკოლაძემ ფიცხელი საშუალებანი მიიღო ხალხის გადასარჩენად. თვით ცხენით ტრიალებდა ამ ზღვა წყალში, აფრინა ცხენიანი კაცები კუნძულზე ნავებისათვის, თვით საზღვაოსნო სკოლაში გაიქცა, საიდამაც რამდენიმე ფილუგა მოიტანა. ამ კაცმა სწორედ თავი გასწირა მოძმეთა სახსნელად. ამ მის სამაგალითო მხნეობას მიმბაძავნი მალე აღმოუჩნდნენ; შეებრძოლა წყალს ყველა, ვისაც-კი შეეძლო; ორის საათის განმავლობაში ქუჩები აივსო ნავებით, სხვა-და-სხვა ფილუგებით; ხალხის თავ-განწირულებას საზღვარი არა ჰქონდა მოძმეთა დასახსნელად. ბრძანება იყო ქალაქის მოურავისა, რომ ხალხი, ისეც შეწუხებული, არ შეაწუხონ მენავეებმა ფულის თხოვნით. ფილუგებით და ნავებით ხალხს მიეზიდებოდნენ ვოკზლისაკენ; ორგან იყო გამართული ნავთ-სადგური: რიონის ხიდთან და სმირნოვის (აწ ერისთავის) სახლებთან, ბულვარის გასავალში. ყველა კუთხიდამ ვოკზლისაკენ მიდიოდა ხალხი, რომელიც დააბინავეს სადგურის ოთახებში, ყაზარმებში და ვაგონებში; ვინც აქ არ დაეტია, კუნძულზე გავიდნენ, სადაც სრულებით არ იყო წყალი. თავი შეაფარა ხალხმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგოლის სახლს ზემო სართულში, მენდელის, სმირნოვის, ხუმარაძის, არუთინოვის და სხვა სახლების ზედა-სართულებში, რადგანაც აქ საშიში არ იყო ყოფნა. ყველა ეს ადგილები მთლად აივსო ხალხითა, ასე რომ ერთმანეთზედ იყვნენ მიწყობილნი. ყველამ დასტოვა საკუთარი სახლები ღვთის ანაბრობაზედ; მხოლოდ ცალიერი სულები-ღა გამოიტანეს სახლებიდამ. ზოგ სახლებში თითო-ოროლა კაცი დარჩა და შეაფარეს თავი სახლების სახურავებში; ამათ ირჩიეს თავისს სახლთან და ქონებასთან ერთად დაღუპვა.

პირველ ნოემბერს მთელი ფოთის მცხოვრებლები გამოიყვანეს სახლებიდამ და მისცეს ბინა, ასე რომ არც ერთი ადამიანი არ უმსხვერპლია წყალსა. გულ საკლავი, საშინელი და ზარ-დამცემი დასანახი იყო სახლებში დამწყვდეული ხალხი, რომელიც წელამდე წყალში იდგა. ყველა კუთხიდამ გაისმოდა: „მიშველეთ, მიშველეთ!“ შორი და მიუდგომელი ქუჩებიდამ ისმოდა რევოლვერების, თოფების, შუშხუნების ხმა, სახლების სახურავებიდგან წივილი: «ნავი, ფილუგა! ზოგან გულით გინდოდა შველა, მათის საცოდაობის ცქერით თვალი დგებოდა, ცრემლის გუბით ივსებოდა, მაგრამ ნავს ვერ უყენებდნენ; ამიტომ მინამ მენავეები არ მოვიდნენ ფოთის ბოლოზიდამ, მინამ გამოცდილი მენავეები არ წაიყვანეს დიდრონი ფილუგებით, გაჭირდა ზოგიერთების გადარჩენა. ხალხი დაიხსნეს, მაგრამ გასჭირდა მათი საზრდოობა. აქაც გაუჩნდნენ ხალხს გულ შემატკივარნი: გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა თავისს ხარჯით აცხოვრა ყველა მასთან თავშეხიზნულნი, აგრეთვე მენდელმა, მოსეს არუთინოვმა. ამ უკანასკნელმა მისს სახლში შეხიზნულები გარს შემოიხვია და სურათი აადებინა. დიდი შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე აგენტმა რუსის საზოგადოებისამ ბ. შესტერიკოვმა. შესდგა კომიტეტი ყოვლად-უსამღვდელოესის გრიგოლის თავმჯდომარეობით ფოთის ღარიბთა და დაზარალებულთა შესაწევნელად. ყოვლად-უსამღვდელოესმა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლიმ შესწირა ასი მანეთი, ამას გარდა გაურიგდა მეფურნეს აცხოს პური და აძლიოს ღარიბებს მის ხარჯზე იმ დრომდე, ვიდრე რამე საქმეს მოსჭიდებდეს ხელს საწყალი ხალხი და შეეძლება საზრდოს მოპოვება. ბ. შესტერიკოვმა გამოუგზავნა ფქვილი, ლორი და სხვ. კუნძულზე დახმარება მისცეს ხალხსა და მიიღეს თავიანთ სახლებში მთავარ-დიაკონმა მეშკოვსკიმ, ივანე კეჭელმაძემ, ექიმმა მიქაბერიძემ და სხვათა. ერთი სიტყვით, ვისაც-კი რამე შეეძლო, არ დაიშურა გაჭირვებულ მოძმეთა საშველად და დასამშვიდებლად მათის აღშფოთებულის სულისა. მაგრამ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელნიც სარგებლობდნენ ხალხის გაჭირვებით, მაგალითად მეეტლეები, მედროგეები და ზოგიერთი მენავენი; ეტლი კაცის თავზე მანეთი იყო, დროგი სამ აბაზს იღებდა, მენავეებს ნულა იკითხავთ. თუმცა ქალაქის მოურავმა ბ. ნიკოლაძემ ყველას გამოუცხადა, ხალხს ნუ შეაწუხებთ, ფული მიიღეთ ჩემგანაო, მაგრამ ყველა არ ასრულებდა ამ განკარგულებას. იმედია, ყველა ეს უკეთურნი მიიღებენ ღირსეულს სასყიდელს, ვისგანაც ჯერ არს.

ორს ნოემბერს საღამოდამ ამოვარდა საშინელი ქარიშხალი აღმოსავლეთიდამ და რაც წყალმა დააკლო, ქარიშხალმა დაათავა: წააქცია ბევრგან დიდრონი ხეები და დაამტვრია ღობეები; მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორედ ასე გვიყო ამ საოცარმა ქარიშხალმა: საშინელის ძალით მოაქანებდა წყალს და გამოსდევნა სწრაფად პალიასტომიდამ და მის მიდამოებიდამ მეტი წყალი და ჩასწურა რიონში; რომ ზღვის ქარი ამოვარდნილიყო, მაშინ ქალაქს უჭირდა საქმე. ამას გარდა რიონის წყალმა იპოვა სხვა ადგილებშიც გასავალი: ჩრდილოეთით ხორგისაკენ (ხობის წყალში) და აქ გადაგლიჯა რკინის გზა, რომელიც დღემდის შემდგარი იყო, სამხრეთით მალთაყვა და ჩაერთო ზღვას. მთელი ეს წყალი რიონის რომ მარტო ფოთზე მოსულიყო, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა და მისი ნაალაგევიც, მგონი, აღარსად ყოფილიყო. ეხლაც, თუმცა მთელი რიონის წყალი აქეთ არ გამოვიდა, მაგრამ ერთ საჟენზე გადაამატა წყალმა სიღრმე ზოგ-ზოგს ადგილებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთის მხრივ.

ძლიერმა ქარმა იქროლა მთელი დღე და ღამე; ამ ქარის წყალობით ორს ნოემბერსვე კლებაში წავიდა წყალი, სამში ისე იკლო, რომ ზოგიერთი სახლებიდამ წყალი გამოვიდა და დარჩა შიგ მხოლოდ ტალახი. გავარდა ხმა, რომ ქურდობა გაჩნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება და ოხრად დატოვებულს სახლებს აიკლებენო, მაგრამ აქაც ქალაქის მოურავმა თვისი ჩვეულებრივი სულის ძალა და დაუღალავი მხნეობა არ მოაკლო ოხრად დატოვებულს ქალაქსა; ადმინისტრაციის შემწეობით, რომელიც ძმურად მხარს აძლევდა ბ. ნიკოლაძეს, ქალაქი ისე დაიცვეს, რომ ქურდებისაგან ნემსი არავის დაჰკლებია: მთელი ღამეები ნავებით დადიოდნენ, უფრო საშიშს ადგილებში, თვით ბ. ნიკოლაძე, ქალაქის პრისტავები, „გოროდოვები", თვით მმართველობის წევრი ყრუაშვილი, სამსონ ჭოჭუა, ევგ. გაბელია და მრავალნი სხვანი, რომ სახლში ზარალი არავის მოსვლიყო. რაკი სახლები განთავისუფლდა წყლისაგან, ყველა სახლის პატრონმა მოსამსახური გაგზავნა, მაგრამ ნავით ყარაულები კიდევ დადიოდნენ ღამით ქუჩა-ქუჩა.

განსაკუთრებულის ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თვით ყოვლად-უსამღვდელოესი გრიგოლი, ეპისკოპოსი გურია-სამეგრელოსი ხშირად გადიოდა ნავით ღარიბთა ხალხის უბნებში, შორს, ნახუტურის მხარეს, სადაც არის სასაფლაო ეკკლესია და სადაც ღარიბ ხალხს თავი შეეფარებინა, გასამხნევებლად. ვის არ გაამხნევებდა ეს დიდებული მაგალითები, ვის არ შეუშრობდა თვალზე მოგუბებულს ცრემლს და იმედის და ნუგეშის ცეცხლს არ აღუნთებდა გაყინულს გულში!!

რა არ შეუძლიან ზეგარდმო ნიჭით მომადლებულს ადამიანსა? ხალხს ყოველთვის სჭიროდა და სჭირია ბელადი, ყოველთვის სჭირია წინამძღოლი, ყოველთვის სჭირია პრომეთეოსი, რომ, ასე გასინჯეთ, თვით ღმერთებსაც-კი წაართვას ცეცხლი. ხალხი გაათბოს უმეტ-ნაკლებოთ. ასეთი ბელადი იყო ამ საშინელს დღეს ბ. ნიკო ნიკოლაძე. როცა ხალხი შემოეხვია მას სმირნოვის სახლთან და ზოგიერთმა ისეთმა პირებმა შებღავლეს, რომელთაც სხვები უნდა გადაერჩინათ ჯერეთ და შემდეგ თავი თვისი, მან უთხრა რიხიანად: „თქვენ უზრუნველ-ყოფილი ხართ, ახლა სხვას სჭირია გადარჩენა და მიშველება; აბა, ჩქარა ცხენები!" თვით მეჯდა და გაუდგა ზღვა წყალს, რომ მისულიყო საზღვაოსნო სკოლის ინსპექტორთან (იგივე ქალაქის თავის მოადგილე) ლეხნიცკისთან და წამოეღო იქიდამ ნავები. „ვინ წავა გაღმა ნავების მოსატანად! — „სთქვა ხმა მაღლა ბ. ნ—ძემ. დუმილია ხალხში; ვერვინ ბედავს. „აბა, რა ვქნა, ათასად ხომ ვერ გავიჭრები, კაცი არ არის, გაბედოს და გავიდეს გაღმა ნავების გამოსატანად".

— უბძანეთ ცხენი, მე წავალ! უთხრა მკვირცხლად ლავრენტი ტუღუშმა, ფოთის სტამბის პატრონმა. ერთის მხრივ ნიკოლაძე და მეორეს მხრივ ტუღუში გაცვივდნენ ცხენებით წყალში და კისრამდ თავები შესწირეს, რადგან ცხენით სიარული საშიში იყო; ჩაცვივდნენ წყალში, ბევრი განსაცდელი გამოიარეს, მაგრამ ორი-სამი საათის განმავლობაში ქალაქი ნავებით აავსეს. აი ამ თავგანწირულებამ ქალაქის მოურავისამ ხალხს სული ჩაუდგა, გაამხნევა და შეაჭიდა ბუნების მოვლენას. ამ მაგალითმა გაალომა ფოთის ბოქაული ბ. ალექსანდრე თოფურიძე, რომელიც მგელ-ლომივით იბრძოდა მთელი ერთი კვირა; კაცი, რაც უნდა იყოს, მაინც სულდგმულია. იგი დროზედ დაღალვას გრძნობს და მის გამო მოსვენებას, მაგრამ ამ კაცს არც დაღალვა, არც შიში სიკვდილისა—დარჩობისა, არც რამე სხვა ვერ აკავებდა.

სადაც ცხენით ვერ მისწვდებოდა საშველად, ფეხით ყელამდის წყალში გარბოდა; სადაც ესენიც უსაშველონი იყვნენ—ხმით აწვდენდა შველასა. ბევრი შესძლებია კაცს, თუ თავი გამოიმეტა, ამითი ყოფილა ყოველთვის ნაქები ქართველი და ამითი მოუტანია ამ დრომდე თავისი სახელი შთამომავლობისათვის. იქნება ბევრი წყენაც შეხვდა ბ. თოფურიძეს, მაგრამ მოითმინა, და ასეც უნდოდა. პოეტი იტყვის:

„მართალს ვაჟკაცს იგი შვენის,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი
დიდსულოვნობის შვილია."

აქ არ შემიძლიან სათითაოდ არ დავასახელო ისინი, რომელთაც თავი გასწირეს მოყვასთა სახსნელად, რასაკვირველია, უმთავრეს მოთავეებს გარდა, რომლებზედაც უკვე ვილაპარაკე ზემოდ. ბ. ანტონ შესტერიკოვი, რომელიც თავისის ფილუგით დადიოდა და ყველა ნაირად შველოდა ხალხს, ეს ერთობ მაღალი და კეთილშობილური სულის პატრონი კაცი; ახალგაზდა ექიმი კონსტანტინე იოსების ძე მიქაბერიძე, რომელმაც სახლის კარი გაუღო გაჭირვებულებს და თვით შველოდა საკუთარის ნავით ხალხსა, ლ. ყრუაშვილი, ევ. გაბელია, ს. ჭოჭუა, ბელიაცკი, პრავედნიკოვი, მატკავა, გ. კანდელაკი, ძმანი კონსტანტინიდები, გერ. მეტაქსი და სხვანი მრავალნი, რომელნიც ღირსნი არიან მთავრობისაგან ყურადღებისა. აქვე არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი საზიზღარი ამბავიც: როდესაც ხალხი დაბინავდა სმირნოვის, ხუმარაძის და სხვების სახლების ზედა-სართულებში, ერთი ვიღაცა მოჰყვა ღაღადს: „არიქა თავს უშველეთ, თორემ ხუმარაძის სახლს წყალი დაანგრევსო". გამოვარდა გარედ და მორთო ყვირილი: „ეხლავე პეტერბურგში ქაღალდს ვაფრენ, რომ ადმინისტრაცია დაუდევრობსო!" —ვერ ხედავდა დალოცვილი ქუჩებში ფაცაფუცს, გაცხარებულს მიმოსვლას? მაგრამ თვალები აბმული ჰქონდა. ამ უადგილო ლაპარაკმა ზარ-დაცემული ხალხი სულ გადარია და მორთეს წივილ-კივილი. ეუბნება იმათ შესტერიკოვი, პოლიცმეისტერო, ნუ გეშინიანო, მაგ სახლებში უზრუნველ-ყოფილი ხართ, თქვენ გადარჩენილი ხართ, სხვას უნდა ახლა ხსნა, მაგრამ ვინ დაუჯერა: ჩასხდნენ რამდენიმე სახლობა დილიჟანში და გასწიეს ვოკზლისაკენ, მაგრამ დილიჟანი გადავარდა სადღაც ხრამში, ცხენი დაერჩო და შიგ მსხდომნი ძლივს გადაარჩინეს.—აი, რა შედეგი ჰქონდა იმ მქადაგებლის სიტყვებსა.

წყალის მდინარება შესდგა ამ თვის შვიდში და ხალხი გადასახლდა თავისს სახლებში. დღეს ფოთი წარმოადგენს მტრისაგან აკლებულს ქალაქს, მიმტვრეულ-მომტვრეულს; დააოღროჩოღროვა, ეზოები დააფუჭა, დამბები დაგლიჯა, როგორც კაპარჭისა, ისე რიონის პირისა. კომისიაა არჩეული ზარალის ცნობაში მოსაყვანად. დიდი ზარალი მიეცა სამხერხავოების მექარხნეებს და მეშეშეებს; ზარალი თვით ქალაქისა ერთობ დიდია, რადგან ქუჩები დააფუჭა, სამოცამდე რკინის ფარნები დალეწა და წააქცია, ბოგირები ბევრგან დაგლიჯა და წაახდინა. კომისიამ, რომელსაც აქვს მინდობილი ზარალის ცნობაში მოყვანა, უნდა იზრუნოს იმ საშუალებაზე და ზომაზე, თუ როგორ გაამაგრონ ნაპირები რიონისა და კაპარჭისა, რომ შემდეგში ქალაქი ასცდეს ამისთანა განსაცდელსა.

ს. გუნცაძე.

ფოთი, 1895 წ. 7 ნოემბერი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

პეტერბურის ჟურნალ „სევ. ვეს".-ში გადაბეჭდილია „ნოვ. ობოზ."-დამ ბ. იონა მეუნარგიას წერილებს ის ადგილი, სადაც ეს „ახალის მოდის" გულ-შემატკივარი მამულიშვილი სწერს: „იმერლებმა უღალატეს ქართველებს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, რაიცა ქართველებს დღესაც არ დაჰვიწყებიათ. სკოლებში ქართველი ყმაწვილები აქამდის აყვედრიან თავისს ამხანაგ იმერლებს საერთო სამშობლოს ღალატსა".

ბ. იონა მეუნარგია ამგვარის საქართველოს ერთობის მტერთაგან დაყრილის ჭორების გავრცელებით რუსეთის მწერლობაში „ცნობილის" აშორდიას გზაზედ დგება, და არა გვგონია, რომ ეს სწორი გზა იყოს ჩვენში პატივისცემისა და სიყვარულის მოსახვეჭად!

—

ადმირალის ჟერვეს გამო საფრანგეთის გაზეთებს გახურებული პოლემიკა აქვთ, უფრო-კი რადიკალურს პრესას. ყველაზე საყურადღებო-კი ის გარემოებაა, რომ ძლიერად ჰკიცხავს მას კლემანსო. თავისს გაზეთ „Justice"-ში კლემანსო ამბობს:

1880 წელს ადმირალმა ჟერვემ მაგელანის სრუტეში გარიყა „Triomphante". შემდეგ, ამ ექვსის თვის წინად, ჟერვემ დიდად აზარალა „Amiral Duperré", რისთვისაც ოფიციალურად მიიღო საყვედური. მაგრამ ჟერვემ სამინისტროს-მიერ გამოთქმულს საყვედურს სრულიადაც არ მიაქცია ყურადღება და არ გასულა დიდი ხანი, კვლავ გარიყა „Milan"-ი. შემდეგ ჟერვემ ასეთივე საქმე დამართა მთელს ესკადრას.

მაგრამ „ფიგარო" სცდილობს როგორმე გაამართლოს ეს ჩვენი რისხვა და მოგვაგონოს, რომ ადმირალმა ჟერვემ, როდესაც იგი კრონშტადტში წავიდა, არც ერთი თავისი ხომალდი არ გარიყაო. აქ არავითარს სამხედრო გმირობას ვერ ვხედავთ და არც გვგონია, რომ რუსეთის საფრანგეთთან დამოკიდებულება ადმირალის ჟერვეს პირადობაზე იყოს დამოკიდებული. ჩვენ ექვსი მილიარდი ფრანკი ვასესხეთ ჩვენს მეგობრებს, ჩინეთში დავეხმარეთ და ამიტომ არ შეუძლიანთ მოითხოვონ, რომ ჩვენი ხომალდები მუდამ ირიყებოდესო.

—

„მ. ვ." შეეხება წყალდიდობას საქართველოში და ამბობს, რომ მრავალი ულუკმა პუროდ და უბინაოდ დარჩაო. შემდეგ განაგრძობს:

„ჩვენ რუსებმა უნდა ვიზრუნოთ, რამე დახმარება აღმოვუჩინოთ გაჭირვებულთ თანამოძმეებს. უბედურება ყველას ათანასწორებს. როდესაც დასავლეთ მხარეში ამ გვარივე უბედურება მიაყენა ცეცხლმა ებრაელებს, მოსკოვიდამ მათ სასარგებლოდ შეწირულება იგზავნებოდა. დღეს უბედურებაში მეოფთა უმეტესი ნაწილი ჩვენი თანამოძმენი არიან, როგორც შვილნი ერთის დიდის სამშობლო რუსეთისა და როგორც ერთმორწმუნე ერი. ისინი დღეს ევედრებიან ღმერთს ქართულ ენის სხვა-და სხვა დიალექტზე, მაგრამ ისინი იგეთივე მართლ-მადიდებელნი არიან, როგორც ჩვენ. მოსკოვი, რომელსაც არა დროს არ ავიწყდება თავისი თანამოძმე, ნუთუ დღეს გაჩუმდება და არ გაუწვდის დახმარების ხელს გაჭირვებაში ჩავარდნილთ, რომელთა უმეტესი ნაწილი შესდგება ჩვენ თანამორწმუნე ქართველთაგან?"

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— ძნელად თუ მოიპოვება დღეს იმისთანა სახელმწიფო, რომელიც შეედრებოდეს პატარა შვეიცარიას ერის წრთვნისა და განათლების საქმეში. ეს პატარა სახელმწიფო, რომელიც მეტად ხელ-მოჭერილია და ფრთხილი ყოველ სხვა ხარჯში, სკოლებისათვის-კი მეტად ხელ-გაშლილია და მეტად უხვი. აქ იგი, რაც შეუძლიან, არაფერს არა ჰზოგავს, არავითარს ხარჯს არ ერიდება, რომ შეძლებისამებრ სკოლა ერისა სავსებით მოწყობილ იყოს და თავისის წმინდა დანიშნულების მისაღწევად არა გზით არა გაუჭირდეს-რა. ერთი საქებური წესი შვეიცარიისა ის არის, რომ ყოველი მკვიდრი, რომელსაც შვილი ჰყავს—ქალი თუ ვაჟი—დავალებულია კანონით თავისს პატარა ჰგზავნოს სკოლაში შვიდის წლისა შესრულდება თუ არა. ამის არ შემსრულებელს ჯარიმა გადახდება ხოლმე პირველ ჯერ ისე საგრძნობელი არა, როგორც მერე და მერე. აი რასა სწერს ,,იურიდიჩესკი ვესტნ.'' შვეიცარიის სკოლების თაობაზე:

„პირველ დაწყებითი სკოლები შვეიცარიაში თავისის სიდიდით და სიფართოებით სწორედ სრა-სასახლეებსა ჰგვანან, მაგალითებრ, ლოზანში, ვევეში უშველებელი სამ-სართულიანი შენობები არის სკოლებისათვის, ოთახებში იმოდენა ჰაერი და სინათლეა, რომ მეტი სანატრელი აღარ არის. ყოველ სოფელში, სასტუმროს შემდეგ, ყველაზე უდიდესი შენობა—ორ-სართულიანი, თუ ერთ-სართულიანი—სკოლის შენობაა. თქმა აღარ უნდა, რომ იგი შენობანი სულ ქვითკირისანი არიან, რადგანაც შვეიცარიაში ხის შენობას არ მისდევენ. შვეიცარია მართალს ამბობს, რომ ჩვენ სხვაში ძალიან ხელმოჭერილნი ვართო და ამ საქმისათვის-კი გლეხ-კაციც-კი არა ჰზოგავს ფულს და ამისათვის რაც გინდ ხარჯი უმატოთ, არ შეუშინდება ხოლმეო. არც საკვირველია. აქ სკოლებში მუქთად ასწავლიან და საფუძვლიანადაც. 7 წლიდამ 13-ს წლამდე აქ ყოველის წოდების ბავშვს პირველ დაწყებით განათლებას საფუძვლიანად აწვდიან და საფუძვლიანად ათვისებენ. ყოველს მასწავლებელს კლასში 40-დამ 50-მდე ყმაწვილი აბარია. ამაზე მეტი კლასში მასწავლებელს აკრძალული აქვს იყოლიოს მოწაფე, რადგანაც, მომეტებული რომ იყოს, მასწავლებელი საკმაოდ ყურადღებას ვერ მიაქცევს თვითეულს ბავშვსა. სამ-სართულიან სკოლაში ქალაქებისაში ნახევარი უჭირავს ვაჟების სკოლას და ნახევარი ქალებისას. თვითეულს ნახევარში 15-მდე ოთახია კლასებისათვის. თვითეული მასწავლებელი მთელის თავისის კლასსით გადადის ხოლმე ერთის კლასსიდამ მეორეში რამდენისამე წლის განმავლობაში. ვაჟთა სკოლაში მასწავლებლად მამა-კაცნიც არიან და დედა-კაცნიცა, ხოლო ქალების სკოლაში მარტო დედა-კაცნი. თუ ბავშვი დააკლდა სკოლას, მასწავლებელი მაშინვე მიზეზს მოჰკითხავს ხოლმე ბავშვის პატრონებს, ან შენიშვნას აძლევს. თუ არ-მოსვლა ბავშვისა ხუთჯერ მოხდა, მაშინ მასწავლებელი აუწყებს ხოლმე სინდიკს, ესე იგი, იქაურს მამასახლისს, ანუ ნაცვალს და ბავშვის პატრონს ჯარიმას ახდევინებს პირ-მოუფერებლად და რამდენსაც ბავშვი ბევრჯერ აკლდება, მით უფრო მეტს თითო ჯერზე. თითქმის შემთხვევა არ არის, რომ ბავშვი სკოლას დააკლდეს ხოლმე და თუ ეს მოხდება ხოლმე, ისიც მარტო ზამთარში, როცა დიდი სიცივეა, ან გზა შეიკვრის და ბავშვი სხვა სოფლიდამ არის მოსასვლელი. ერთს კანტონში, რომელსაც ვოჰქვიან, მუქთად ურიგდებათ მოწაფეებს სახელმძღვანელო წიგნები და სხვა ყოველი, რაც სკოლაში საჭიროა. სამღრთო წერილს ასწავლიან იგივე ერის-კაცნი მასწავლებელნი. გეოგრაფიას და ისტორიას შვეიცარიისას ძალიან ვრცლად ასწავლიან. სხვა ერთა ისტორიას ასწავლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იგი ერი შეხვედრია შვეიცარიას დროთა განმავლობაში ისტორიის გზაზე. სხვა ნაწილს ისტორიისას მასწავლებელნი აუწყებენ ხოლმე ბავშვებს, როცა კითხვის გაკვეთილი აქვთ.

— დიდი ხანია ლიტერატურა უცხოეთისა, თუ რუსეთისა ჰლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა დაარსდეს საერო, ყველასათვის მისაწდომი უნივერსიტეტიო. რუსულ გაზეთის „ნოვოსტ"-ების სიტყვით, ამისთანა უნივერსიტეტის დაარსება უკვე გადუწყვეტია ავსტრიასაო და მალე განხორციელდება კიდეცაო. უნივერსიტეტი გაიმართება ვენაში და აი რას იუწყება იმის შესახებ ხსენებული გაზეთი:

„ლექციები იქნება კვირა-დღეობით და დაიწყება $7^1/_2$ საათზე საღამოთი. ექვსი ლექცია შეადგენს მთელს კურსსა. მთელის ამისთანა კურსის მოსმენისათვის დადებულია ექვს შაურზე ცოტა მეტ-ნაკლები, რომელიც მსმენელთ უნდა გადიხადონო, ასე რომ თვითო ლექციის მოსმენა თითქმის ერთს შაურად ეღირება. ლექციის შემდეგ გაიმართება საუბარი, რომელშიაც შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ მსმენელებმაცა. ლექციების წამკითხველთ ფიქრადა აქვთ ოცდა ხუთ-კურსამდე განაგრძონ კითხვა. პროგრამმა კურსებისა, სხვათა შორის, შემდეგია: ისტორია საბერძნეთისა, რომისა, ავსტრიისა. გერმანიისა და საფრანგეთისა; საბერძნეთის დრამა: გეტე, შექსპირი, მხატვრობა იტალიური; ყოველს ამას მოსდევს ანატომია, ფიზიოლოგია, ბაქტერიოლოგია, დარიგება პირველ ხანში როგორ უშველონ სნეულსა, სნეულებანი მემკვიდრეობითნი, ძარღვებისა და სულიერობისანი; დასასრულ ბოტანიკა, ქიმია, გეოლოგია, მანქანების-კეთება, ავსტრიის კონსტიტუცია, სამოქალაქო რჯულდება და სტატისტიკა''.

— მოხელეებს დღევანდლამდე გზის ფული (прогоны) ეძლევათ კიდევ ძველის გარემოების მიხედვით, როცა რკინის გზები არ იყო და ფოშტით სიარულის კვალობაზე ეძლეოდათ. სახელმწიფო კონტროლერს აზრი შეუტანია, რომ დროა ეს წინანდელი წესი გაუქმდესო, რადგანაც ეხლა უფრო რკინის გზებით დადიან მოხელენიო და ამიტომაც განუზრახავს გზის ფული იმის კვალობაზე მიეცეთ, რაც რკინის გზით სიარული ჯდება იმ ადგილებში, საცა რკინის გზებიაო და საცა არ არის, ისევ უწინდელი ანგარიში დარჩესო (მ. ვ.).

## უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** მცირე აზიიდამ ისევ ცუდი ამბები მოდის კონსტანტინოპოლში. ბევრგან ოსმალნი თავს ესხმიან სომეხთ, ბევრგან სხვა-და-სხვა ნაირად ავიწროებენ მათ. ვაჭრობა თითქმის ყველგან შესწყდა; სოფლის ხალხი მეტის-მეტს გაჭირვებაშია. თვით კონსტანტინოპოლში კიდევ შიშიანობა ჰსუფევს. სომეხთა დატუსაღება დღემდის არ შეწყვეტილა. სხვა რიგათ არის საქმე ზეითუნში: იქ ჯერ-ჯერობით სომხები არიან გამარჯვებულნი. ამას წინად, „სტანდარდ"-ის სიტყვით, 30 ათას სომეხთ აჯანყებულებმა დაამარცხეს ოსმალეთის 20 ათასიანი ჯარი, წაართვეს მრავალი ზარბაზანი, თოფი და წამალი, ბევრი ჯარის-კაცი ტყვეთ წაიყვანეს.

—

ამბობენ, სულთანს ისეთივე ბარა-

თი, როგორიც ამას წინად სოლსბერის გაუგზავნა, გაუგზავნია აგრეთვე დედოფალ ვიქტორიასათვის და კრისპისათვისაც. ვიქტორიასაგან სულთანს პასუხიც მიუღია უკვე.

—

„პოლიტიშე კორესპონ.“-ს ატყობინებენ კოსტანტინოპოლიდამ, რომ მცირე აზიაში მოკლულთა რიცხვი ბევრად ნაკლებია იმ რიცხვზე, რომელიც გამოაცხადეს კომიტეტებმა. ანატოლიის ქალაქებში სულ მოკლულ იქმნა 15 ათას კაცამდე; ზარალი 10 ათასი ოქრო-კი არ არის, არამედ იმის ნახევარია. ხოლო სოფლის მცხოვრებთა შესახებ ამბები, მათ გაჭირვებაზე ცნობები მართალია.

—

**გერმანია.** ამ ბოლო დროს გერმანიის მთავრობამ დევნა დაუწყო სოციალისტებს. სოციალ-დემოკრატთა ერთი წინამძღოლთაგანი ლიბკნეხტი ამას წინად უბრალო მიზეზისა გამო სასამართლომ დაპატიმრებით დასაჯა. ამას წინად დეპეშით იტყობინებოდნენ ბერლინიდამ, რომ პოლიციამ 11 სოციალისტთა საზოგადოება დახურაო. წარსულ ორშაბათს, გაზეთ „პოსტ“-ის სიტყვით, პოლიციამ გასჩხრიკა ბერლინში სოციალ-დემოკრატიის პარტიის მეთაურნი, ბევრი წერილი, დოკუმენტი და სხვა პოლიციამ წაიღო. აგრეთივე გაჩხრეკა იყო გერმანიის სხვა ქალაქებშიაც. ამბობენ, მალე დაჰხურავენო რამდენსამე საარჩევანო ბიუროს სოციალისტებისას.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გარდავუხადოთ იმ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თავიანთი წვლილი და დახმარება აღმოგვიჩინეს ავლაბრის სცენის მოყვარულ ახალგაზდა უმაწვილ-კაცობას სახალხო თეატრის დასაარსებლად ავლაბარში.

თავად დ. გურამიშვილმა 5 მ., მ. გვალიაშვილმა—5 მ., ნ. ისარლიშვილმა 5 მ., გ. ყიფიანმა 2 მ., მურუშიძემ 1 მ., 20 კ., სვიმონიძემ 1 მ., მგალობლიშვილმა 1 მ., ი. მაჭავარიანმა 1 მ., ა. ჩხეიძემ 1 მ.

სცენის მოყვარული ა. მარიშვილი,

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

22 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა 22 ნოემბერს საინჟენერო შენობის მანეჟში ლეიბ-გვარდიის სემენოვსკის პოლკისა, მისის უდიდებულესობის გვარდიის ცხენოსან ბრიგადის 1 ლი ბატარეისა და სხვა ჯარები ინახულა მათის დღესასწაულის გამო. დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დიდი ჰერცოგი ჰესსენისა, დიდნი მთავრინანი, დიდნი მთავარნი, სამხედრო უფროსნი, მისის უდიდებულესობის ამალა და უცხოეთის სამხედრო აგენტები. მისი უდიდებულესობა სემენოვსკის პოლკის მუნდირითა და ჰესსენის ლენტით იყო, დიდი ჰერცოგი—რუსის დრაგუნთა მუნდირში და ანდრია პირველ-წოდებულის ლენტით. შემდგომ ამისა გამართულ იქმნა საუზმე, რომელზედაც მიწვეულ იქმნენ აქ დამსწრე ჯარების ოფიცრები.

21 ნოემბერს სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი პავლე ანდრიას ძე კოსტიჩევი გარდაიცვალა. ხუთშაბათს დაასაფლავებენ.

**ბერლინი.** პარლამენტი გახსნილ იქმნა საიმპერიო კანცლერის მიერ, რომელმაც სეფე სიტყვა წაიკითხა; სიტყვა მშვიდობის მოყვარე და დამამშვიდებელი ხასიათისა იყო. „სახელმწიფოთა შორის კეთილი და მეგობრული დამოკიდებულება შეუცვლელად არსებობსო, არის ნათქვამი სიტყვაში. რუსეთთან და საფრანგეთთან ერთად გერმანია სცდილობდა როგორმე მოესპო არეულობა, რომელიც შესაძლებელი იყო მოჰყოლოდა იმ ომს, რომელიც ჰქონდა აზიის ორს დიდს სახელმწიფოს. იაპონიის მთავრობის ზომიერად მოქმედების წყალობით სახელმწიფოთა მეცადინეობამ გასჭრა. ოსმალეთის საშწუხარო ამბებმა გერმანიის ყურადღება მიიქციეს. გერმანია, რომელიც არ ჰღალატობს თავისს მომხრეთ და პოლიტიკის პრინციპებს, მზადაა ამ საქმეში სხვა სახელმწიფოებს მხარი მისცეს, რათა ამით მშვიდობიანობის საქმეს ემსახუროს და სულთანს დახმარება აღმოუჩინოს წეს-რიგის დასამყარებლად.“ დასასრულ, სიტყვაში გამოთქმულია იმედი, რომ სახელმწიფოთა ცდა გაიმარჯვებს. იმპერატორი ბრესლავლს წავიდა, სადაც ლეიბ-კირასირთა დღესასწაულზე სიტყვა სთქვა. ამ სიტყვაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „მხედრობის იმედი მაქვს, იმედი მაქვს შინ თუ გარეთ იგი მუდამ ჩემის ბრძანების აღმსრულებელი იქმნებაო“.

**ვაშინგტონი.** კონგრესი გაიხსნა. პარლამენტის თავმჯდომარედ რესპუბლიკელი რიდი იქმნა ამორჩეული 234 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 95-ისა, რომელიც დემოკრატმა კრისპმა მიიღო. სენატის პრეზიდენტად ისევ სტეფენსონი იქმნა არჩეული.

23 ნოემბერს.

**კელნი.** კელნის გაზეთს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: „ინგლისის ელჩს სტამბოლში ნაბრძანები აქვს შეატყობინოს სულთანს, რომ სამის დღის განმავლობაში უთუოდ უნდა გადასწყვიტოს საქმე მეორე სტაციონერეაის შესახებ, თორემ სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან სხვა გვარად იმოქმედონ“.

**რომი.** პარლამენტი. კრისპიმ სთქვა: „არასოდეს ისე მტკიცე არ ყოფილა სამთა კავშირი, როგორც ეხლა არის. პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა სამინისტროს.

**კონსტანტინოპოლი.** ერზრუმში მივიდა კომისია მცირე აზიის პროვინციებისათვის. მეორე ამგვარივე კომისია მივიდა ხარპუტს.

**ლონდონი.** „დეილი ნიუზს“ ატყობინებენ რომიდან: „იტალიის ყველა არსენალებში გაცხარებული მუშაობაა იმ აზრით, რომ იტალიის სამხედრო ძალა მზად იქნას. სამხედრო გემს „პიემონტე“-ს ნაბრძანები აქვს ლევანტის ზღვაში წავიდეს.“

**ვაშინგტონი.** პრეზიდენტმა კლივლენდმა ეპისტოლეში კონგრესის მიმართ სომხეთის შესახებ განაცხადა: „რამდენსამე ევროპის პირველ ხარისხის სახელმწიფოთ თავის თავად და აგრეთვე ვითარცა წარმომადგენელთ საქრისტიანო ქვეყნებისა ხელშეკრულობის ძალით უფლება აქვთ დააძალონ ოსმალეთს ბოლო მოეღოს სასტიკ ფანატიზმსა და თუ საჭირო იქნება იხმარონ ღონისძიება დაიფარონ ქრისტიანნი ასეთის ფანატიზმისაგან. სახელმწიფოებმა განაცხადეს, რომ ეს უფლება და მოვალეობა საკუთრად მათ ეკუთვნის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფონი დაუყონებლივ იხმარებენ ნამდვილს საშუალებას“.

პეტერბურგის ბირჟა, 22 ნოემბერი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო. | — „ | — „ | — „ |
| 5°/₀. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა | — „ | — „ | 208¹/₂ |
| 4¹/₂°/₀ გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6°/₀ ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა. | — „ | 99¹/₂ | — „ |
| 6°/₀ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა | — „ | 101 | — „ |
| 5°/₀ იმავე ბანკისა | — „ | 99 | — „ |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | 98 | — „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოლოვიოვა შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—53).

ქ. თელავს
იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით. ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორისჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველგალავანში. ხყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—5).

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში
ცხოვრება
მეფე გიორგისა
აღწერილი
პლატონ იოსელიანის მიერ.
გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი ერთი მანეთი.

ახალი გამოცემანი:
სამზარეულო
ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა
მეორე გამოცემა
ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელეების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.
ფასი მანეთ ნახევარი.

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.
აღა-მაჰმად-ხანის
შემოსევა ქ. ტფილისში.
თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.
ფასი 25 კაპ.
იყიდება ამხანაგობის სკიოკში.

გამოვიდა დ ისყიდება
ყველა წიგნის მაღაზიებში
მამის ერთგული
მოთხრობა ყმაწვილებისათვის, ქრისტეფორე შმიდტისა, თარგ. სალომე შუბათელისა.
ფასი 15 კ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. . . . | „ | 70 |
| მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი, მისივე. . . . . . . | | 10 |
| ისტორიული ნარკვევი ალ. ჰყონიასი . . . . | 1 | 50 |
| წმ. ნინოს ცხოვრების ახალი ვარიანტი ე. თაყაიშვილისა . . . . . | „ | 40 |
| სამი ისტორიული ქრონიკა მისივე. . . . . . | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიას გამოცემულნი. . . . | 3 | „ |
| საქართველოს გეოგრაფია ვახუშტი ბატონიშვილისა | 3 | 30 |
| სამცხე მისივე . . . . | „ | 25 |
| ქართლი მისივე . . . | „ | 25 |
| მეფე დავით აღმაშენებელი ნ. ურბნელისა . . . | „ | 40 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, მისივე. . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| III вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| переписка грузинскихъ царей съ россійскими государями. . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ. С. Бѣлокурова. . . . . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Путешествіе по Гуріи и Адчарѣ Д. Бакрадзе . . . . . . | 2 | 50 |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Θ. Жорданія . . | | 30 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Ноября 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.